განათლების ინტერდისციპლინური უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს

სხდომის ოქმი N15

თბილისი, 29 თებერვალი, 2024

განათლების ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

1. **ხათუნა ბარაბაძე** - პედაგოგიკის დოქტორი, შპს თანამედროვე განათლების აკადემიის დირექტორის მოადგილე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი **საბჭოს მდივანი;**
2. **ეკატერინე ფიფია** - ჰუმანიტარული მეცნიერებების დოქტორი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, განათლების ადმინისტრირების ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
3. **ვლადიმერ ადეიშვილი** - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, **საბჭოს წევრი;**
4. **მადონა მიქელაძე** - პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, **საბჭოს წევრი;**
5. **ზურაბ ბერია** - ფიზიკის დოქტორი, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს წევრი;
6. **ქეთევან ჭკუასელი** - პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი, **საბჭოს წევრი;**
7. **ზაქარია ქიტიაშვილი** - განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „საგნის სწავლების მეთოდიკა“ ხელმძღვანელი, **საბჭოს წევრი**;
8. **ეკატერინე გიგაშვილი** - განათლების მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, **საბჭოს წევრი;**
9. **სიმონ ჯანაშია** - განათლების დოქტორი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, გივი ზალდასტანიშვილის სახელობის თბილისის ამერიკული აკადემიის საზოგადოებრივი პროექტების კოორდინატორი, **საბჭოს წევრი;**
10. **ალუდა გოგლიჩიძე** - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კავკასიის განათლების სკოლის დეკანი, **საბჭოს წევრი;**

11. **ნათია ანდღულაძე** - განათლების დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის ასოცირებული პროფესორი, კონსულტანტი განათლების საკითხებში, **საბჭოს წევრი;**
12. **თამარ ბრეგვაძე** - განათლების დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის ასოცირებული პროფესორი, ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია /Erasmus+ საქართველოს ოფისის უმაღლესი განათლების რეფორმების ექსპერტი, მკვლევარი, **საბჭოს წევრი;**
13. **სოფიკო ლობჟანიძე** - პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი განათლების მეცნიერებების მიმართულებით, განათლების სკოლის ხელმძღვანელი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი, **საბჭოს წევრი;**
14. **მიხეილ გიორგაძე** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, **საბჭოს წევრი;**
15. **ირმა ქურდაძე** - პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, **საბჭოს წევრი;**
16. **ეკატერინე მიქაუტაძე** - ბიოლოგიის დოქტორი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის სპეციალისტი, **საბჭოს წევრი;**
17. **სოფიო უგრეხელიძე** - სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბიზნესის ანალიზისა და პროექტების მართვის სამუშაო ჯგუფის უმაღლესი განათლების მიმართულების მენეჯერი, **საბჭოს წევრი;**
18. **რევაზ აფხაზავა** - კოალიცია "განათლება ყველასათვის - საქართველო" (EFA Georgia) - გამგეობის წევრი, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM) გამგეობის თავმჯდომარე, პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კონსულტანტი მასწავლებელთა პროფესიული სერვისების დეცენტრალიზაციის საკითხებში - **საბჭოს წევრი;**
19. **ოთარ ბეჟიტაშვილი** - საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მთავარი სპეციალისტი, **საბჭოს წევრი;**
20. **ქეთევან შარვაძე** - ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ბაგა-ბაღების განვითარების განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, **საბჭოს წევრი;**
21. **ნინო ბეგლარაშვილი** - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის ქვეპროგრამის მენეჯერი - **საბჭოს წევრი.**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

- **ქეთევან ფანჩულიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსი;
- **ნინო გოგლიჩიძე** - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის კოორდინატორი.

დაინტერესებული პირი:

- **ლიკა ანთაძე.**

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:07 საათზე.

კვალიფიკაციების სამსახურის კოორდინატორი ნინო გოგლიჩიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სხდომას საბჭოს 29 წევრიდან ესწრებოდა საბჭოს 21 წევრი. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

განათლების ინტერდისციპლინური უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს თავმჯდომარის, რუსუდან სანაძის, საპატიო მიზეზით არყოფნის გამო, საბჭოს წევრებმა თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად განსაზღვრეს ზაქარია ქიტიაშვილი, რომელმაც წარადგინა დღის წესრიგი, კერძოდ:

განათლების ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის რედაქტორის მიერ რედაქტირებულ ვერსიასთან დაკავშირებით საბოლოო შენიშვნებისა და რეკომენდაციების მოსმენა;

განათლების ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენის საკითხის კენჭისყრა იმ დათქმით, რომ განათლების ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე; განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოვიდეს 2024 წლის 1 დეკემბრამდე.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს, რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გამოთქმულა.

მოისმინეს

ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურისა და ცენტრის რედაქტორის კომენტარები დოკუმენტთან დაკავშირებით.

1. ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის მიერ წარმოდგენილი წინადადებების თანახმად, შესავლის მე-4 აბზაცში უნდა გასწორდეს შემდეგი ფორმულირება:

„2019 წელს განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავებას საფუძვლად დაედო საერთაშორისო გამოცდილება, კერძოდ, განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCED-F), რომლის მიხედვითაც კვალიფიკაციები „ადმინისტრირება" და „განათლების/საგანმანათლებლო მენეჯმენტი" კლასიფიცირებული იქნა მენეჯმენტისა და ადმინისტრირების დეტალურ სფეროში. იგივე მიდგომა შენარჩუნდა ეროვნულ დონეზეც. ჩარჩოს მოთხოვნების საპასუხოდ, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დაიწყეს განათლების ადმინისტრირების პროგრამების მოდიფიცირება/შემუშავება."

აღნიშნული ფორმულირება მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის No69/ნ ბრძანების დანართი 2-ით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შემუშავებას საფუძვლად დაედო საერთაშორისო გამოცდილება, კერძოდ, განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCED-F), რომლის მიხედვითაც კვალიფიკაციები „ადმინისტრირება” და „განათლების/საგანმანათლებლო მენეჯმენტი“ კლასიფიცირებული იქნა მენეჯმენტისა და ადმინისტრირების დეტალურ სფეროში. იგივე მიდგომა შენარჩუნდა ეროვნულ დონეზეც. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნების საპასუხოდ, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დაიწყეს განათლების ადმინისტრირების პროგრამების მოდიფიცირება/შემუშავება.“

2. ცენტრის რედაქტორის შენიშვნის თანახმად, შესავლის მე-7 აბზაცში:

„განათლების ადმინისტრირება არსებითად ინტერდისციპლინურია: იგი მოიცავს ორგანიზაციული ლიდერობის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის, საჯარო პოლიტიკისა და განათლების თეორიის ელემენტებს, ბიზნესის ადმინისტრირების და სტრატეგიული მართვის ძირითადი პრინციპების ცოდნას. საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში და სოციალური მოსაზრებები განათლების დაფინანსებასა და რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით. დინამიურ კონტექსტში ადმინისტრატორებმა უნდა მოახდინონ ტექნოლოგიის ინტეგრაცია, ხელი შეუწყონ ინოვაციას და მიიღონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები“.

უნდა გასწორდეს შემდეგი წინადადება: „საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში და სოციალური მოსაზრებები განათლების დაფინანსებასა და რესურსების განაწილებასთან დაკავშირებით“. რადგან წინადადება არასრულია და შინაარსი არ იკითხება.

3. ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის წინადადებით სწავლის შედეგების თავში, ცოდნა და გაცნობიერების კომპონენტის ბოლო პუნქტში:

„საგანმანათლებლო ორგანიზაციებისთვის რელევანტური ორგანიზაციული მართვის თეორიებისა და მოდელების შესახებ და საკუთარ ცოდნას არგებს საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკას.“ იგულისხმება ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება დაწესებულების სპეციფიკის შესაბამისად, ამიტომ მიზანშეწონილია აღნიშნული შედეგის უნარის კომპონენტში გადატანა. საბჭოს წევრები, ზაქარია ქიტიაშვილი, თამარ ბრეგვაძე, მადონა მიქელაძე და სოფიკო ლობჟანიძე არ დაეთანხმნენ წარმოდგენილ წინადადებას, მათი მოსაზრებით მორგებაში დაკავშირება მოიაზრება და ცოდნისა და გაცნობიერების დომენს მიეკუთვნება და არა უნარისას.

4. ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის წინადადებით, სწავლის შედეგების პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტი მიზანშეწონილია იმავე სტილით იყოს ჩამოყალიბებული, როგორითაც ცოდნა და გაცნობიერებისა და უნარის კომპონენტები. შესაბამისად, არსებული ფორმულირება:
   - *„პროფესიულ საქმიანობას ახორციელებს პროფესიული ეთიკის, საზოგადოებრივი ინტერესისა და კეთილდღეობის პრინციპებისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვით;*
   - *ხელს უწყობს საგანმანათლებლო ორგანიზაციისა და მისი ეკოსისტემის განვითარებას;*
   - *სწავლასა და საქმიანობას ახორციელებს როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური მუშაობის პრინციპებისა და ინტერპერსონალური უნარების გამოყენებით;*
   - *თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების საფუძველზე, დამოუკიდებელად ახდენს დარგში საკუთარი და სხვების სწავლის სტრატეგიულ დაგეგმვას, მოდიფიცირებასა და რეალიზებას.“*

მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

<u>შეუძლია:</u>

- *პროფესიულ საქმიანობის განხორციელება პროფესიული ეთიკის, საზოგადოებრივი ინტერესისა და კეთილდღეობის პრინციპებისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვით;*
- *საგანმანათლებლო ორგანიზაციისა და მისი ეკოსისტემის განვითარებაში წვლილის შეტანა;*
- *სწავლისა და საქმიანობის განხორციელება როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური მუშაობის პრინციპებისა და ინტერპერსონალური უნარების გამოყენებით;*
- *თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების საფუძველზე, განათლების ადმინისტრირების სფეროში საკუთარი და სხვების სწავლისა და საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვა, მოდიფიცირება და რეალიზება.“*

5. ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის წინადადებით, მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავის 1-ელ აბზაცში ამოღებულ იქნას შემდეგი ფორმულირება: *„საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ (No69/ნ, 2019 წლის 10 აპრილი) დანართი 2-ის“,* რადგან ბრძანების სრული დასახელება შესავალში უკვე არის მითითებული.
6. ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის წინადადებით, მიზანშეწონილია, მეტი სიცხადისთვის გასწორდეს სწავლება, სწავლა შეფასების თავის მე-2 აბზაცის მე-2 წინადადება: *„სწავლებისა და სწავლის მეთოდებმა, შეფასების კრიტერიუმებმა საშუალება უნდა მისცეს სტუდენტს, წარმოაჩინოს მის სწავლებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგები და ამ დარგობრივ მახასიათებელთან ზოგადი შესაბამისობა.“* და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: *„სწავლებისა და სწავლის მეთოდებმა, შეფასების კრიტერიუმებმა წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისა და მათი დემონსტრირების საშუალება უნდა მისცეს სტუდენტს.“*
7. ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის წინადადებით, მიზანშეწონილია, სწავლება, სწავლა შეფასების თავის მე-4 აბზაცის ბოლო წინადადება „სწავლის პროცესში პასიური ჩართულობა (როგორიცაა ლექციებზე დასწრება) საკმარისი არ არის, თუ ის სწავლების ძირითადი ან ერთადერთი ფორმაა.“ ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „ „სწავლის პროცესში პასიური ჩართულობა (როგორიცაა **მხოლოდ** ლექციებზე დასწრება) საკმარისი არ არის, თუ ის სწავლების ძირითადი ან ერთადერთი ფორმაა.“ საბჭოს წევრის, ზაქარია ქიტიაშვილის, მოსაზრებით, მიზანშეწონილია დარჩეს არსებული ფორმულირება, რადგან ფრჩხილები ლექციაზე დასწრების მითითება ისედაც მიუთითებს იმაზე, რომ მხოლოდ ლექციაზე დასწრება არ არის საკმარისი.

დაადგინეს

1. საბჭომ გაიზიარა ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის წინადადება.

2. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება და შესავლის მე-7 აბზაცი ჩამოყალიბდა შემდეგი ფორმულირებით:
   „განათლების ადმინისტრირება არსებითად ინტერდისციპლინურია: იგი მოიცავს ორგანიზაციული ლიდერობის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის, საჯარო პოლიტიკისა და განათლების თეორიის ელემენტებს, ბიზნესის ადმინისტრირებისა და სტრატეგიული მართვის, განათლების დაფინანსებისა და რესურსების განაწილების ძირითადი პრინციპების ცოდნას. დინამიურ კონტექსტში ადმინისტრატორებმა უნდა მოახდინონ ტექნოლოგიის ინტეგრაცია, ხელი შეუწყონ ინოვაციას და მიიღონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.“

3. საბჭომ არ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება.
4. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება.
5. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება.
6. საბჭომ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება.
7. საბჭომ არ გაიზიარა წარმოდგენილი წინადადება.

მოისმინეს

საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, ზაქარია ქიტიაშვილმა, კენჭისყრაზე დააყენა განათლების ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენის საკითხის იმ დათქმით, რომ განათლების ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე; განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოვიდეს 2024 წლის 1 დეკემბრამდე.

ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც იმავდროულად არიან გარე ინიცირების ფარგლებში დარგობრივი მახასიათებლის პროექტის შემუშავების პროცესში ჩართული პირები.

დაადგინეს

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი განათლების ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტის ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენას იმ დათქმით, რომ განათლების ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე; განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოვიდეს 2024 წლის 1 დეკემბრამდე.

საბჭოს მიერ ცენტრის დირექტორისთვის დასამტკიცებლად წარდგენილი განათლების ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პროექტი ჩამოყალიბდეს ამ ოქმის დანართი N 1-ის შესაბამისად.

სხდომა დასრულდა 17:37-ზე.

საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ზაქარია ქიტიაშვილი _____

საბჭოს მდივანი

ხათუნა ბარაბაძე _____

დანართი N1

განათლების ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების II საფეხური

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VII დონე

2024 წელი

I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი განათლების ადმინისტრირების უმაღლესი განათლების II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრავს შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს. ის, ასევე, განსაზღვრავს დასახული სწავლის შედეგების მინიმალური სტანდარტის მისაღწევად საჭირო სწავლა - სწავლებისა და შეფასების მეთოდებს, რესურსებს და სხვა არსებით მახასიათებლებს.

დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება სავალდებულოა განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ყველა დაწესებულებისთვის. თუმცა, ინოვაციების, მრავალფეროვნებისა და მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნით, საგანმანათლებლო დაწესებულებები თავად განსაზღვრავენ საგანმანათლებლო პროგრამების დეტალურ შინაარსსა და მათი განხორციელების კონკრეტულ გზებს, მათ შორის - დამატებით სწავლის შედეგებს.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი შედგება მინიმალური მოთხოვნებისა და დებულებებისგან, რომელთა დაცვისა და შესრულების ვალდებულება აქვს ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც ხორციელდება ან დაგეგმილია განხორციელდეს განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები. პროგრამების შინაარსსა და ფორმას, ასევე სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებს განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და მის ფარგლებში განსაზღვრული ცალკეული რეგულაციების შესაბამისად.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის No69/ნ ბრძანების დანართი N2-ით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შემუშავებას საფუძვლად დაედო საერთაშორისო გამოცდილება, კერძოდ, განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია (ISCED-F), რომლის მიხედვითაც კვალიფიკაციები „ადმინისტრირება” და „განათლების/საგანმანათლებლო მენეჯმენტი“ კლასიფიცირებული იქნა მენეჯმენტისა და ადმინისტრირების დეტალურ სფეროში. იგივე მიდგომა შენარჩუნდა ეროვნულ დონეზეც. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნების საპასუხოდ, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა დაიწყეს განათლების ადმინისტრირების პროგრამების მოდიფიცირება/შემუშავება. ამგვარი ცვლილებების საფუძველზე, პროგრამებში გაძლიერდა ადმინისტრირების/მენეჯმენტის საკითხები და დაიკარგა ბალანსი განათლების

სფეროსთვის დამახასიათებელ ისეთ სპეციფიკურ თემებთან მიმართებით, როგორებიცაა: სწავლა-სწავლების პროცესების მართვისა და კურიკულუმის შემუშავების საკითხები, შეფასების პრინციპები და ტექნიკები და სხვ. ბოლო წლებში აღნიშნული ცვლილებისგან მიღებული გამოცდილება, შედეგებზე დაკვირვება და საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ განათლების ადმინისტრირების პროგრამებში განათლების საკითხების ფართოდ გაშლა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს. კერძოდ:

- საერთაშორისო დონეზე მზარდი ტენდენციაა განათლების ადმინისტრირების ინტერდისციპლინური ხასიათის აღიარება. იუნესკოს უწყვეტი განათლების ინსტიტუტი (UIL) ხაზს უსვამს, რომ განათლების ადმინისტრატორებს ესაჭიროებათ განათლების სისტემების ყოვლისმომცველი გაგება, რაც გულისხმობს სხვადასხვა დისციპლინის ურთიერთკავშირს.
- განათლების ადმინისტრირება მოიცავს საგანმანათლებლო მიზნების შემუშავებასა და პროცესების მართვას, რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პოლიტიკის, კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების და სწავლა-სწავლების სტრატეგიების ღრმა გააზრებას. ეფექტური განათლების ადმინისტრირება მოითხოვს საგანმანათლებლო პრინციპების ცოდნას იმ ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც დადებითად აისახება სწავლის შედეგებზე.
- განათლების ადმინისტრირება არსებითად ინტერდისციპლინურია: იგი მოიცავს ორგანიზაციული ლიდერობის, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკის, საჯარო პოლიტიკისა და განათლების თეორიის ელემენტებს, ბიზნესის ადმინისტრირების და სტრატეგიული მართვის, განათლების დაფინანსებისა და რესურსების განაწილების ძირითადი პრინციპების ცოდნას. დინამიურ კონტექსტში ადმინისტრატორებმა უნდა მოახდინონ ტექნოლოგიის ინტეგრაცია, ხელი შეუწყონ ინოვაციას და მიიღონ მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

გარდა ამისა, სწავლის სფეროების კლასიფიკატორში განათლების მეცნიერების დეტალური სფეროს განმარტების მოდიფიცირებამ (რაც გარდა სწავლა-სწავლების ასპექტებისა, განათლების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ტექნოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ და მართვის ასპექტებს მოიცავს.) კიდევ უფრო რელევანტური გახადა განათლების ადმინისტრირების სფეროს ინტერდისციპლინური ხასიათის ხაზგასმა. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, მოცემული დარგობრივი მახასიათებელი მიზნად ისახავს, განათლების ადმინისტრირების მენეჯმენტისა და ადმინისტრირების დეტალური სფეროდან (0413.2.18) განათლების ფართო სფეროს (01) ინტერდისციპლინური დეტალური სფეროს (0188) მეორე სვეტში გადატანას.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის;
- განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთათვის;
- სტუდენტებისთვის, რომლებიც უმაღლესი განათლების მე-2 საფეხურზე სწავლობენ განათლების ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებზე;
- ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტებისთვის, რომელთაც მობილობის, გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში განზრახული აქვთ, სწავლა განაგრძონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე;
- დამსაქმებელთათვის, რომლებიც დაინტერესებული არიან წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებით;
- განათლების სფეროს ექსპერტებისთვის, რომლებსაც პერიოდულად ევალებათ განათლების ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, მონიტორინგი ან აკრედიტაციის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა;
- აკრედიტაციის, ავტორიზაციისა და აპელაციის საბჭოს წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- საგანმანათლებლო პოლიტიკის განსაზღვრაზე პასუხისმგებელი პირებისთვის.

ინგლისურ ენაზე დარგობრივი მახასიათებლის დასახელებაა Subject Benchmark Statement of Education Administration.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადად განსაზღვრულია 7 წელი.

II. სწავლის სფეროს აღწერა

განათლების ადმინისტრირება გულისხმობს საგანმანათლებლო ორგანიზაციებისა და განათლების სისტემის და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წარმართვას - ადამიანური და მატერიალური რესურსების ინტეგრირებას და ამ რესურსების ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფას საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად.

განათლების ადმინისტრატორების ფუნქციონირების არეალი ვრცელდება განათლების სხვადასხვა ფორმაზე (ფორმალური განათლება, არაფორმალური განათლება), განათლების ყველა საფეხურზე (სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი), საგანმანათლებლო მისიის მქონე ორგანიზაციების და მათი გაერთიანებების მრავალფეროვან სპექტრზე (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის და პროფილის მიუხედავად), ისევე, როგორც განათლების სისტემის მართვის ყველა დონეზე (ცენტრალური, ადგილობრივი). განათლების ადმინისტრირება საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად განათლების სხვადასხვა ფორმას, საფეხურს, საგანმანათლებლო დაწესებულების ტიპსა და სისტემის აქტორებს შორის სინერგიის ხელშეწყობას გულისხმობს.

განათლების ადმინისტრირების სექტორული და ფუნქციური სპეციფიკა საგანმანათლებლო დაწესებულებების კომპლექსური მისიით და განათლების ადმინისტრირების ინტერდისციპლინური ხასიათით არის განპირობებული, კერძოდ:

ა) განათლების ადმინისტრატორის კომპეტენციების ნუსხაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სასწავლო ლიდერობასა და საგანმანათლებლო პროცესებისა და პოლიტიკის მართვისთვის საჭირო უნარებსა და ცოდნას. განათლების ადმინისტრატორები, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებელნი არიან საგანმანათლებლო პროცესის ზედამხედველობაზე, მათ შორის - კურიკულუმის შემუშავებასა და განხორციელებაზე, განათლების სერვისის მიმწოდებელი პერსონალის, საგანმანათლებლო პროექტებისა და პროგრამების, ისევე როგორც საგანმანათლებლო პროფილის მქონე ორგანიზაციების ზოგად მართვაზე.

ბ) განათლების ადმინისტრატორის მომზადებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ღირებულებით განათლებას, რადგან განათლების ადმინისტრირება მეტწილად არაკომერციული ამოცანაა, ხოლო საგანმანათლებლო ორგანიზაციის ადმინისტრირება - სოციალური მისია. განათლება წარმოადგენს საზოგადოებრივ სიკეთეს, რომელიც ხელს უწყობს ინდივიდების ინტელექტუალურ და სოციალურ განვითარებას და საზოგადოების კეთილდღეობასა და პროგრესს. განათლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. შესაბამისად, განათლების ადმინისტრატორები გადამწყვეტ როლს ასრულებენ განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობისა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფაში, ისევე როგორც უწყვეტი განათლებისა და სოციალური

მობილობის ხელშეწყობაში. განათლება სოციალური პასუხისმგებლობის მქონე და აქტიური მოქალაქის ფორმირების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია.

ბ) განათლების ადმინისტრატორის კომპეტენციების ჩამონათვალში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება საზოგადოებასთან ურთიერთობის, სტრატეგიული კომუნიკაციის უნარებზე. საგანმანათლებლო დაწესებულებები საზოგადოების, თემის განუყოფელი ნაწილია. განათლების ადმინისტრატორები ხშირად თანამშრომლობენ ადგილობრივ თემთან მათი უნიკალური საჭიროებებისა და პრობლემების გადასაჭრელად. კურიკულუმთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და ორგანიზაციული პოლიტიკა, რომლებზეც პასუხისმგებლობას იღებს განათლების ადმინისტრატორი, ხელს უწყობს საზოგადოებაში მრავალფეროვნებისა და ინკლუზიის, ინტერკულტურული მგრძნობელობის, სოციალური სამართლიანობის განვითარებას.

აღნიშული სპეციფიკიდან გამომდინარე, განათლების ადმინისტრირების პროგრამებმა სტუდენტებს უნდა შეასწავლოს სწავლა-სწავლების პროცესების მართვის თავისებურებები და მათი ტრანსფორმაციის სტრატეგიები, ასევე ის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს განათლებაზე. ადმინისტრირების ზოგად პრინციპებსა და ინსტრუმენტებთან ერთად (მაგალითად: სტრატეგიული დაგეგმვა, ცვლილების მართვა, სტრატეგიული კომუნიკაცია, მონაცემების ანალიზზე/კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება, სინთეზური აზროვნება, ციფრული ტრანსფორმაცია და ა.შ.), განათლების ადმინისტრირების მომზადების პროგრამებმა სტუდენტებს უნდა გააცნოს ახალი კონცეფციები განათლების მართვის სფეროში, განათლების საერთაშორისო პერსპექტივები და გააფართოვოს მათი ხედვა საგანმანათლებლო ორგანიზაციების მისიის შესახებ.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი წინაპირობები.

კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს განათლების შემდგომ საფეხურზე-დოქტორანტურაში.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებელი აღწერს სწავლის მინიმალურ სავალდებულო შედეგებს, რომლებიც განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის დასრულებისას მოეთხოვება სტუდენტს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, სფეროს განვითარების ტენდენციებისა და საუკეთესო ადგილობრივი თუ საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უფრო მეტი და მრავალფეროვანი სწავლის შედეგი განსაზღვროს.

ცოდნა და გაცნობიერება

<u>ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას:</u>

- განათლების სფეროს განვითარების თანამედროვე საერთაშორისო და ადგილობრივი ტენდენციების, საგანმანათლებლო პოლიტიკის, მმართველობის სტრუქტურების, დაფინანსების მოდელებისა და სამართლებრივი ჩარჩოების შესახებ, ასევე ცოდნას განათლების სოციალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური საფუძვლების შესახებ;
- პედაგოგიკის, მათ შორის: დიდაქტიკის, განვითარებისა და სწავლის თეორიების, კურიკულუმის შემუშავების პრინციპებისა და საგანმანათლებლო სტრატეგიების, ასევე სასწავლო ლიდერობის პრინციპების შესახებ;
- საგანმანათლებლო ორგანიზაციებისთვის რელევანტური ორგანიზაციული მართვის თეორიებისა და მოდელების შესახებ და საკუთარ ცოდნას არგებს საგანმანათლებლო დაწესებულებების სპეციფიკას.

უნარი

<u>შეუძლია:</u>

- კურიკულუმის განვითარების ინოვაციური ინიციატივების შემუშავება, განვითარება და შეფასება;
- პოზიტიური ორგანიზაციული გარემოსა და კულტურის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება;
- აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით კვლევის დაგეგმვა და ჩატარება, არსებული კვლევის მონაცემების გამოყენება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით;
- რელევანტური მიდგომების/მოდელების გამოყენებით, საგანმანათლებლო ორგანიზაციის განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისას გარე და შიდა ფაქტორების გავლენის შეფასება;

- ორგანიზაციული და საგანმანათლებლო პროცესების განხორციელებისას/მართვის პროცესში თანამედროვე ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

<u>შეუძლია:</u>

- პროფესიულ საქმიანობის განხორციელება პროფესიული ეთიკის, საზოგადოებრივი ინტერესისა და კეთილდღეობის პრინციპებისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვით;
- საგანმანათლებლო ორგანიზაციისა და მისი ეკოსისტემის განვითარებაში წვლილის შეტანა;
- სწავლისა და საქმიანობის განხორციელება როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური მუშაობის პრინციპებისა და ინტერპერსონალური უნარების გამოყენებით;
- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების საფუძველზე, განათლების ადმინისტრირების სფეროში საკუთარი და სხვების სწავლისა და საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვა, მოდიფიცირება და რეალიზება.

IV. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

ადგილობრივ დონეზე მე-7 დონის საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევის შემდგომ სტუდენტებს ენიჭებათ კვალიფიკაცია სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით. კვალიფიკაციის ფორმულირება განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან, სტრუქტურიდან და მიზნებიდან გამომდინარე. ინტერდისციპლინური დეტალური სფეროს შესაბამისი კვალიფიკაციების მინიჭება ხორციელდება იმ ვიწრო სფეროდან, რომლის სწავლის შედეგიც დომინირებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში საქართველოში არსებობს შემდეგი კვალიფიკაციების მინიჭების შესაძლებლობა პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით:

ა) თუ პროგრამა ორიენტირებულია განათლების ადმინისტრირების პროცესში განათლების სფეროს თეორიულ შესწავლაზე, ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებებსა და, ზოგადად, განათლების საკითხებზე, მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია იყოს:

ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Master of Arts (MA)-Field of study

ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი განათლების ადმინისტრირებაში – Master of Arts (MA) in Education Administration.

ან

ბ) თუ პროგრამის ძირითადი მიზანია კურსდამთავრებულებს გამოუმუშავოს სამეცნიერო - კვლევითი უნარები, ამ შემთხვევაში კვალიფიკაციის ფორმულირება შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით: მეცნიერების მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Master of Science (MSc) - Field of study.

მეცნიერების მაგისტრი განათლების ადმინისტრირებაში Master of Science (MSc) in Education Administration.

წარმოდგენილი შესაძლებლობების ანალოგები გვხვდება ასევე საერთაშორისო გამოცდილებაშიც. მაგალითად, არის პროგრამები, რომელთა დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს მეცნიერების მაგისტრის (Master of Science (MSc)) ან განათლების მაგისტრის (Master of Education) აკადემიურ ხარისხს ანიჭებენ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: განათლების ადმინისტრირება, განათლების ლიდერობა ან სკოლის ადმინისტრირება. გვხვდება ასევე განათლების პროგრამები, რომლებიც ანიჭებს ხელოვნების მაგისტრის ხარისხს (MA) სკოლის ადმინისტრირებაში (School Administration) ან უმაღლესი განათლების ადმინისტრირებაში (Higher Education Administration) ან განათლების მაგისტრის ხარისხს (Master of Education, MEd);

გ) თუ განათლების ადმინისტრირების სწავლის სფეროს შესაბამისი მე-7 დონის საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკასა და პროფესიაში პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, შეიძლება მიენიჭოს კვალიფიკაცია:

მაგისტრი დეტალური სწავლის სფეროს მითითებით Master - Field of study - განათლების ადმინისტრირების მაგისტრი Master of Education Administration.

გაერთიანებული სამეფოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (QAA) მოთხოვნების მიხედვით, Master of Arts (MA) ხარისხი ითვალისწინებს სპეციალიზებულ სწავლებას კონკრეტულ საგანში ან საგნებში. ეს ხარისხი ხშირად ასოცირდება ხელოვნებასთან, ჰუმანიტარულ და ზოგ სოციალურ მეცნიერებებთან. Master of Science (MSc) ხარისხი უფრო ხშირად ასოცირდება მეცნიერებასთან, ტექნოლოგიასთან, ინჟინერიასთან, მათემატიკასა და ზოგ სოციალურ

მეცნიერებასთან. Master of (დეტალური სწავლის სფეროს მითითებით) გამოიყენება ინტეგრირებული ან პროფესიული სამაგისტრო ხარისხებისათვის. მაგ. Master of Education (MEd).

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები აუცილებელია ეფუძნებოდეს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლის პრინციპებს და იყოს დოკუმენტირებული, საჯაროდ ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის.

სწავლებისა და შეფასების მეთოდები თანხვედრაში უნდა იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად მიზნებთან, სწავლის შედეგებსა და პროგრამის კომპონენტებთან. სწავლებისა და სწავლის მეთოდებმა, შეფასების კრიტერიუმებმა წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისა და მათი დემონსტრირების საშუალება უნდა მისცეს სტუდენტს.

სწავლების, სწავლისა და შეფასების ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები სარეკომენდაციო ხასიათისაა. საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება ითვალისწინებდეს მათგან მხოლოდ ზოგიერთს, ასევე, სხვა მეთოდებს. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ შერჩეულმა მეთოდებმა უზრუნველყოს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. ასევე მნიშვნელოვანია განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება რეგულარულად აახლებდეს სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდებს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და საინფორმაციო ციფრული ტექნოლოგიების განვითარების მიღწევების დანერგვის გზით.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი ითვალისწინებს იმას, რომ სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდების ადეკვატურობა, აგრეთვე, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, მათ შორის, ადამიანური რესურსების ოდენობა და ხარისხი ექვემდებარება უწყვეტ გარე შეფასებას საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გზით. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტის მიერ საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების რეგულარულად გამოყენების შესაძლებლობების არსებობას. სტუდენტმა უნდა შეძლოს სწავლაში აქტიურად ჩართვა და პრაქტიკაში თეორიული ცოდნის გამოყენება რეალური გამოწვევების დასაძლევად ალტერნატიული გზების შემუშავების გზით. სწავლის პროცესში პასიური ჩართულობა (როგორიცაა ლექციებზე დასწრება) საკმარისი არ არის, თუ ის სწავლების ძირითადი ან ერთადერთი ფორმაა.

ნებისმიერ შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების გადახედვა-განახლებაზე, სწავლებისა და შეფასების საუკეთესო პრაქტიკისა და კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისით არსებული მიღწევების გაზიარება/დანერგვის გზით. სწავლების გავრცელებული მეთოდები მოიცავს ლექციებსა და მეცადინეობებს, მათ შორის, ინტერაქტიულ სწავლებას, როგორიცაა სასწავლო პორტფოლიო, სემინარები, სამუშაო ჯგუფები, პროექტებსა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ჯგუფური მუშაობა, სწავლების სხვა ფორმები, მაგალითად, შერეული ტიპის მეცადინეობა და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტის მიერ საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების რეგულარულად გამოყენების შესაძლებლობებს. ეს მიდგომა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში და მის მიერ თეორიის პრაქტიკაში გამოყენებას, რეალური ან რეალურთან მიახლოებული სიტუაციებისა და შემთხვევების ანალიზს.

კვლევითი კომპონენტის ინტეგრირებისთვის, ტრადიციული კვლევის გარდა, რეკომენდებულია პრაქტიკის (სამოქმედო) კვლევის მეთოდი, რადგან პრაქტიკის კვლევა აერთიანებს სოციოლოგიური კვლევის, პედაგოგიკურ და მართვის კომპეტენციებს.

სწავლება-სწავლისათვის გამოყენებული ღონისძიებები ერთმანეთს სრულყოფს. სასწავლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შეუძლია იხელმძღვანელოს მრავალი განსხვავებული მეთოდით. სასწავლო პროგრამის კურსების ფარგლებშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მეთოდების, განსაკუთრებით, თანამშრომლობითი მეთოდების სახესხვაობის გამოყენება, რაც სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში აქტიურად გამოყენებას მოითხოვს.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებიც მრავალგვარია და მოიცავს ზეპირსიტყვიერი ან/და წერილობითი ანგარიშის, დებატებში/დისკუსიებში/პროფესიული ხასიათის დისკუსიებში მონაწილეობის, მშობლიურ ან/და უცხოურ ენაზე ჩატარებული საჯარო პრეზენტაციების, კვლევითი ნაშრომებისა და გამოცდების საფუძველზე ინდივიდუალურ შეფასებას, თანამშრომლობით მეთოდებსა და ჯგუფურ შეფასებას. აგრეთვე, კრიტიკული და კონსტრუქციული ხასიათის შენიშვნებსა და კომენტარებს სხვა სტუდენტების მიერ მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით და სხვ.

VI. **დამატებითი ინფორმაცია**

6.1 აკადემიური პერსონალი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰყავდეს შესაბამისი რაოდენობის, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამისა და ამ დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესრულებას.

6.2. რესურსები და ინფრასტრუქტურა

- სათანადოდ დაფინანსებული და მუდმივად განახლებადი დარგობრივი საბიბლიოთეკო ფონდები და ელექტრონული საძიებო საბიბლიოთეკო წყაროები.
- სხვადასხვა ტიპის მონაცემთა (საკანონმდებლო, სტატისტიკური და სხვ.) ბაზებთან უწყვეტი წვდომა.
- საკომუნიკაციო სისტემები.
- პარტნიორი ორგანიზაციები (სამთავრობო, არასამთავრობო, კერძო ან/და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ.), რომლებთან თანამშრომლობითაც შესაძლებელი იქნება პროფესიული პრაქტიკის გავლა, კვლევის ჩატარება და რეალურ პრობლემებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროცესების მართვის დოკუმენტის შექმნა.
- სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების სწავლა/სწავლების, კვლევის განხორციელებისა და პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობებს.

VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

7.1 განათლების ინტერდისციპლინური უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა

1	რუსუდან სანაძე	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი
2	ხათუნა ბარაბაძე	შპს თანამედროვე განათლების აკადემია	პედაგოგიკის დოქტორი, დირექტორის მოადგილე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი
3	ეკატერინე ფიფია	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	ჰუმანიტარული მეცნიერებების დოქტორი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, განათლების ადმინისტრირების ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი
4	ვლადიმერ ადეიშვილი	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური

			ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
5	მადონა მიქელაძე	სიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის "პროფესიული და უწყვეტი განათლება" ხელმძღვანელი
6	ნინო ბასილაშვილი	სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის დოქტორი, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
7	ზურაბ ბერია	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი	ფიზიკის დოქტორი, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი

8	ქეთევან ჭკუასელი	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი
9	ზაქარია ქიტიაშვილი	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, მასწავლებელთა განათლების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „საგნის სწავლების მეთოდიკა“ ხელმძღვანელი
10	ეკატერინე გიგაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი
11	სიმონ ჯანაშია	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	განათლების დოქტორი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის

			ასოცირებული პროფესორი, გივი ზალდასტანიშვილის სახელობის თბილისის ამერიკული აკადემიის საზოგადოებრივი პროექტების კოორდინატორი
12	ალუდა გოგლიჩიძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	შპს კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, კავკასიის განათლების სკოლის დეკანი
13	თამარ კაკუტია	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ	განათლების მეცნიერებების დოქტორი, შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს პროფესორი, განათლების ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი; UNESCO-IIEP-ის, პროექტის - ”საქართველოს პროფესიული და სკოლამდელი განათლების სექტორის პილოტირების მთლიანობის შეფასება” პარიზის ოფისის ადგილობრივი ექსპერტი
14	ნათია ანდღულაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის ასოცირებული პროფესორი
15	თამარ ბრეგვაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების

			სკოლის ასოცირებული პროფესორი
16	ელენე ჯიბლაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის ასოცირებული პროფესორი, განათლების ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი, განათლების კვლევითი ცენტრის დამაარსებელი
17	სოფიკო ლობჟანიძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი განათლების მეცნიერებების მიმართულებით, განათლების სკოლის ხელმძღვანელი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი
18	ხათუნა დოლიძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფსიქოლოგიის დოქტორი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ადრეული ინკლუზიური განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, სერთიფიცირებული ჩაილდ ლაიფ სპეციალისტი, ჯოენის სამედიცინო ცენტრის ფსიქო-

			სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი
19	მიხეილ გიორგაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
20	ნინო ძოწენიძე	შპს ევროპის უნივერსიტეტი	შედარებითი და საერთაშორისო განათლების დოქტორი, შპს ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, არაფორმალური განათლების ახალგაზრდული ცენტრის „მზიანი სახლი" დამფუძნებელი და ტრენერი
21	ირმა ქურდაძე	სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პედაგოგიკის დოქტორი, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, განათლების მიმართულების ხელმძღვანელი
22	ეკატერინე მიქაუტაძე	შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი	ბიოლოგიის დოქტორი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის სპეციალისტი; შპს ევროპის უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი
23	სოფიო უგრეხელიძე	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის პროფესიული და უმაღლესი

			განათლების სამსახურის უფროსის მოადგილე
24	ნინო წერეთელი	სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი
25	მაია შუხოშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს უმაღლესი განათლების სამმართველოს უფროსი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მკვლევარი
26	რევაზ აფხაზავა	კოალიცია "განათლება ყველასათვის - საქართველო" (EFA Georgia)	კოალიცია "განათლება ყველასათვის - საქართველო" (EFA Georgia) - გამგეობის წევრი, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM) გამგეობის თავმჯდომარე, პოლიტიკის ადვოკატირების ოფიცერი, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის კონსულტანტი მასწავლებელთა

			პროფესიული სერვისების დეცენტრალიზაციის საკითხებში
27	ოთარ ბეჟიტაშვილი	საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტი	საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მთავარი სპეციალისტი
28	ქეთევან შარვაძე	ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო	ბაგა-ბაღების განვითარების განყოფილების უფროსის მოვალეობის შესრულებელი
29	ნინო ბეგლარიშვილი	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის ქვეპროგრამის მენეჯერი

7.2. გარე ინიცირების ფარგლებში დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	სოფიკო ლობჟანიძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების სკოლის ხელმძღვანელი, პროფესორი
2.	ელენე ჯიბლაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი
3.	მაია ბიწაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი

4.	მაკა კორძაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი
5.	თამარ ბრეგვაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი
6.	ნათია ანდღულაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი
7	მიხეილ გიორგაძე	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, მოწვეული პედაგოგი